

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biobibliographical Series “Georgian Scholars”

ANDRIA APAKIDZE

(1914-2005)

Biobibliography

Tbilisi
2014

ანდრია აფაქიძე

(1914-2005)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2014

012 (აფაქიძე ა.) + 016: 902(462.22)

აფა-91

გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ბიობიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1941-2013 წლების მასალა: სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, მისი რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ანდრია აფაქიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანბანური საძიებელი.

The biobibliography of the distinguished Georgian archaeologist, academician Andria Apakidze, contains the materials of 1941-2013 years: scientific works, scientific-popular articles, works published under his editorship and publications about him.

The material is arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities of A. Apakidze and dates of his life and activity. Indexes of names and geographical names are applied in alphabetical order.

რედაქტორები: გურამ ლორთქიფანიძე, ირაკლი ღარიბაშვილი
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: ნანა ბალათურია
შემდგენლები: ნანა ბალათურია, მარიკა ჟორჯოლიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიკა ჟორჯოლიანი
დამკაზადონებელი: ნათია დვალი
გარეკანის დიზაინი: ნინო ხოსრუაშვილი, ნინო ებრალიძე

Editors: Guram Lortkipanidze, Irakli Garibashvili

Bibliographic editor: Nana Bagaturia

Authors: Nana Bagaturia, Marika Zhorzholiani

Computer: Marika Zhorzholiani

Prepress: Natia Dvali

Cover Design: Nino Khosruashvili, Nino Ebralidze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ISBN 978-9941-13-373-2

ISSN 2298-0059



შინაარსი

Contents

ანდრია ავაქიძე (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა).....	9
ANDRIA APAKIDZE (A Brief Review of his Scientific and Public Activities)	19
ანდრია ავაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	25
The Main Dates of Andria Apakidze’s Life and Activity.....	28
ანდრია ავაქიძის შრომები	31
Andria Apakidze’s Works	31
ანდრია ავაქიძის რედაქტორობით გამოცემული შრომები	63
Works Edited by Andria Apakidze	63
ლიტერატურა ანდრია ავაქიძის შესახებ.....	76
Publications about Andria Apakidze	76
საიუბილეო თარიღები.....	84
Jubilee Dates.....	84
სახელთა საძიებელი	88
Index of Names	88
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	94
Geographical Indexes	94

ანდრია აფაქიძე

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის
მოკლე მიმოხილვა)

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ანდრია აფაქიძემ სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ჭეშმარიტად სახელოვანი გზა განვლო. იგი ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა იმ დიდებულ პლეადას, რომლის მხრებზე გადაიარა არქეოლოგიის – ამ მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო დისციპლინის – ფორმირების ხშირად წინააღმდეგობრივმა და ზოგჯერ მტკივნეულმა პროცესებმა.


მისი დაბადების 80 წლისთავზე ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო წერილში სამართლიანად იყო აღნიშნული: „ქართული არქეოლოგიის პატრიარქი აკადემიკოსი ა. აფაქიძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული არქეოლოგიის აღიარებული ლიდერი და ყოველი მისი წარმატების მოზიარეა“ („ძეგლის მეგობარი“, – 1994, № 1. – გვ. 68-70). ნიშანდობლივია, რომ ბატონი ანდრია აფაქიძე ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ საბჭოთა იმპერიაში პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების“ და იმ წლებში მეტად პოპულარული აკადემიური ჟურნალისა „ძეგლის მეგობარი“. ქართველ არქეოლოგთა შორის ის პირველი გახლდათ, ვინც 1940 წელს წარმოადგინა და 1941 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (ხელმძღვ. პროფ. გ. ნიორაძე) და მოიპოვა „ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი“. ასევე პირველმა, ქართველ არქეოლოგთა შორის, 1961 წელს მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება; გზა გაუკვალა „წყალქვეშა არქეოლოგიას“ სოხუმის ყურესა და ბიჭვინთაში (1953 წ.); დანერგა ახალი გეოფიზიკური მეთოდები საველე-არქეოლოგიურ საძიებო სამუშაოებში სამოციან წლებში. ის იყო მთავე ქართულ არქეოლოგიაში ახალი კომპიუტერული საძიებო სისტემების დანერგვისა. ბატონი ანდრია აფაქიძე გახლდათ ეროვნული აკადემიის პირველი აკადემიკოსი არქეოლოგი, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების პირველი აკადემიკოს-მდივანი. მან შექმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე-

მიის პრეზიდენტთან კომპიუტერული სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრი, სადაც თავმოყრილი იყო ცნობები ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. თუმცა ამით არ ამოიწურება ბატონ ანდრია აფაქიძის წვლილი ქართული არქეოლოგიის განვითარებაში.

ეს ყველაფერი – გზა მეცნიერების მწვერვალებისაკენ – დაიწყო, ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლისას, მას შემდეგ, რაც არქეოლოგიით გატაცებული ახალგაზრდა გამოარჩიეს ჯერ პროფ. გ. ნიორაძემ, შემდეგ პროფ. ს. ჯანაშიამ. თავად ბატონ ანდრიას არაერთხელ აღუნიშნავს ეს გარემოება და სიკვდილამდე მადლიერი იყო თავისი დიდი მასწავლებლების.

ერთ-ერთ ხელნაწერ ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1947 წლითაა დათარიღებული (ინახება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში), ბატონი ანდრო აღნიშნავს: „სწავლასთან ერთად მიხდებოდა მუშაობა“. მას მამა, მელიტონ აფაქიძე, ადრე, 1918 წელს, გარდაეცვალა. განათლებისადმი მისი სწრაფვა ბაქოდან სოფელ ზანაში (სენაკის რაიონი) დაბრუნებულმა ძველი არისტოკრატიული საგვარეულო ტრადიციების მიმდევარმა მისმა ოჯახმა უზრუნველყო. დაწყებითი განათლება სოფელ ზანის შვიდწლიან სკოლაში მიიღო, 1925 წლიდან კი სწავლა ახალსენაკის საშუალო სკოლაში გააგრძელა. ანდრია აფაქიძემ 1932 წელს დაამთავრა სენაკის (ცხაკაიას) პედაგოგიური ტექნიკუმი. იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1936 წელს დაამთავრა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი, 1937 წლის თებერვალში იგი დატოვეს სასწავლებლის ასპირანტურაში, როგორც მაშინ ამბობდნენ, „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. პარალელურად, 1935 წლის ნოემბრიდან 1936 წლის ოქტომბრამდე ის თბილისში ახლად გახსნილ საქართველოს სამხედრო კომისარიატთან არსებული „არქეოლოგიის ინსტიტუტის“ მეცნიერი თანამშრომელი იყო. ამ „არქეოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის“ დირექტორი, შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. გ. ნიორაძე ასაბუთებდა რა ა. აფაქიძის მოწვევას სამუშაოდ, აღნიშნავდა: „არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტები დღეს თითქმის არ მოგვეძებნება საქართველოში. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ინსტიტუტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების მომზადებაზე“

(გ. ნიორაძე, ქართული სამეცნიერო არქეოლოგიის სათავეებთან, საქ. ეროვ. ბიბ. მაცნე, №3, 2011, გვ. 13). არქეოლოგიის ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ იგი აკად. ნ. მარის სახელობის ენის,



ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმვი) ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი იყო. როგორც ა. აფაქიძე თავად აღნიშნავდა, 1937 წლის სექტემბრიდან კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში, თსუ ისტორიის ფაკულტეტზე. 1940-1941 სასწავლო წელს მას მიჰყავდა კურსი „წინააზიის არქეოლოგიაში“. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან კი მობილიზებულ იქნა მოქმედ არმიაში. კავკასიაში უძველესი თბილისის სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის ჩრდილოკავკასიის ფრონტზე იბრძოდა. 1942 წლის 3 აგვისტოს დაიჭრა და გათავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან. დემობილიზაციის შემდეგ, 1942 წლის ოქტომბრიდან ის ენიმვის მემკვიდრე, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, არქეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1943 წლის 19 ივლისს ანდრია აფაქიძე დირექტორად დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც ტრადიციულად არქეოლოგიური კვლევის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ინსტიტუტის დირექტორის მძიმე და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბატონმა ანდრეამ ათი წელი იმუშავა. ეს პერიოდი

მუზეუმის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრებით, წარმატებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებით და პუბლიკაციებით აღინიშნა. 1953-1980 წწ. ა. აფაქიძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების, დღევანდელი ტერმინოლოგიით – „მიმართულების“, ხელმძღვანელი იყო. პრაქტიკულად, ის წარმართავს არქეოლოგიურ სამუშაოებს მთელ საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ბატონი ანდრია დიდ დროსა და ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა არქეოლოგების აღზრდას, მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ განსაკუთრებული იყო. მისი აღზრდილი გახლდათ აფხაზი არქეოლოგი გიორგი შამბა, რომელსაც არასოდეს უღალატია ქართულ-აფხაზური ძმობისთვის ასევე, მისი დაფრთიანებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, დღეს საქართველოში ერთადერთი ბათუმის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი პროფ. ა. კახიძე. მისი ერთ-ერთი ბოლო ასპირანტი, აკადემიური დოქტორი, არქეოლოგი სანდრო ნონეშვილი ხშირად იგონებს, თუ რა დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ბატონი ანდრო მის არა მარტო სამეცნიერო, არამედ საველე სამუშაოებს. ვინც ახლო იყო ბატონ ანდროსთან, დამერწმუნება, თუ რა პრინციპული, მომთხოვნი, ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო იგი ხელქვეითების მიმართ.

ახალგაზრდა არქეოლოგებისადმი კეთილგანწყობის მაჩვენებელია პირადად ჩემი და ბატონ ანდრია აფაქიძის, ქართველი არქეოლოგების ნაცადი ხელმძღვანელის ურთიერთობა. ჩემი წერილობით თხოვნის შემდეგ ბატონმა ანდრიამ ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სამუშაოდ მიმიწვია, რომელსაც 1953-1974 წწ. თვითონ ხელმძღვანელობდა. ამ ექსპედიციას უდიდესი როლი აქვს ნათამაშევი, მცხეთის შემდეგ, ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის განვითარებაში. მის მიერ გამოვლენილი ძველი ბერძნული, რომაული წყაროების ციხე-ქალაქი პიტიუნტ-პიტიუსი, ქართულ-აფხაზური „ბიჭვინტა“, ადრეული ქრისტიანობის ცენტრი, X-XI სს-ის კათედრალით, რომლის მომლოცველთა შორის დავით აღმაშენებელიც გახლდათ, მსოფლიო არქეოლოგიის ყურადღების ცენტრშია. ბატონ ანდრიას ავტორობით, თანავტორობითა და რედაქტორობით გამოიცა „დიდი პიტიუნტისადმი“ მიძღვნილი შრომების სამი მოზრდილი ტომი. 2004 წელს, საქართველოს ისტორიის

ნარკვევების სხვა ავტორებთან ერთად, ბატონ ანდრია აფაქიძეს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ბიჭვინთაში ჩემ თვალწინ იწერებოდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის იშვიათი „არქეოლოგიური ლექსიკონი“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი ანდრია აფაქიძე გახლდათ. იგი ასევე იყო არქეოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა.

1975 წელს, მცხეთაში კარგა ხნით შეწყვეტილი არქეოლოგიური სამუშაოების განახლების გამო, ბატონი ანდროს გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიჭვინთი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა, მან ექსპედიციის კონსულტანტობა იტვირთა, რაც, ბუნებრივია, უდიდესი პატივი იყო ჩემთვის. ვფიქრობ, რომ მე და ექსპედიციის სხვა წევრებს არ შეგვირცხვენია ჩვენი მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის აკად. ა. აფაქიძის სახელი. 1975-1980 წწ., მასთან შეთანხმებით, აფხაზეთის საბედისწერო მოვლენებამდე ბიჭვინთის ნაქალაქარზე ერთდროულად მუშაობდნენ თბილისისა და იენის უნივერსიტეტების ერთობლივი ექსპედიციები, აშენდა სტაციონარული ბაზა. შეიქმნა ბიჭვინთის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელსაც აკად. ა. აფაქიძის მოწაფე, აფხაზი არქეოლოგი ზაურ აგრბა ხელმძღვანელობდა.

ანდრია აფაქიძემ თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი არქეოლოგიაში 1941 წელს გამოაქვეყნა. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაციის „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“ ოთხგვერდიანი მოკლე შინაარსი, თეზისების სახით. თავად სადისერტაციო, მანქანაზე გადაბეჭდილი ნაშრომი, „ხელნაწერის უფლებით“, დიდხანს ინახებოდა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომელიც ათიოდე წლის წინ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა. სადისერტაციო კვლევას საფუძვლად დაედო კახეთში, ალაზნის პირას, სოფელ ბაკურციხესთან აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის მრავალფენოვანი არქეოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მის მიერვე იყო გამოვლენილი. 1938 წელს ის ხელმძღვანელობდა ბაკურციხის არქეოლოგიურ ექსპედიციას, ხოლო პირველი საექსპედიციო ნათლობა, როგორც ბატონი ანდრო თავად აღნიშნავდა, მან 1936 წელს მოწამეთაში მიიღო. ქართული არქეო-

ლოგიის ისტორიაში აღნიშნულ ნაშრომს საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. მას დღესაც არ დაუკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობა.

განსაკუთრებით დიდია ბატონ ანდრია აფაქიძის ღვაწლი საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში.

აკად. სიმონ ჯანაშიამ 1940-1941 წწ. II მსოფლიო ომის დაწყებამდე, მცხეთაში უმნიშვნელოვანესი უბნების, არმაზციხე-ბაგინეთის გათხრების ხელმძღვანელობა ახალგაზრდა ნიჭიერ არქეოლოგს ანდრო აფაქიძეს ანდო. 1943 წლიდან ის კვლავ აგრძელებს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მცხეთაში, რომლის შესწავლას მან, შეიძლება ითქვას, მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

ბატონი ანდრო თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა: „1943 წლიდან დღემდე (1952 წ.) ვარ ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი“. ეს აკად. ს. ჯანაშიას მოღვაწეობის, სამწუხაროდ, ხანმოკლე (1936-1947 წწ.) პერიოდი დაკავშირებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული არქეოლოგიის „ოქროს ხანასთან“.

მცხეთაში 1938 წლიდან იწყება მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები. ველზე ბატონ ანდრია აფაქიძის მხარდამხარ იდგა ახალგაზრდა არქეოლოგთა ჯგუფი (გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთაძე და სხვ.), რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ სავსე გათხრების მეთოდიკას და შესაბამისი თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლილი. ეს იყო ივ. ჯავახიშვილის, გ. ნიორაძისა და ს. ჯანაშიას აღზრდილი პროფესიონალი არქეოლოგების პირველი თაობა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა დროის მოთხოვნის შესაბამისად ასეთი ფართო მასშტაბის გათხრების წარმოება. არქეოლოგიური თვალსაზრისით ისეთ რთულ მრავალფენიან ძეგლზე, როგორც „დიდი მცხეთა“ იყო, ბატონი ანდრო აფაქიძე არქეოლოგთა აღიარებული ლიდერი გახლდათ. 1939 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში 20 მეცნიერი თანამშრომელი ითვლებოდა და ოთხი ტექნიკური მუშაკი (არქიტექტორი, მხატვარი, ფოტოგრაფი) შედიოდა, აკად. ა. აფაქიძის გადმოცემით, ველზე შვიდი თვის განმავლობაში საკმაოდ მძიმე ყოფით პირობებში იმყოფებოდა. მუშათა რაოდენობა 80 კაცს აღწევდა. ბატონმა ანდრია აფაქიძემ წლების განმავლობაში მცხეთაში ჩამოაყალიბა არა მარტო სწავლულ არქეოლოგთა ჯგუფი, არამედ შექმნა პროფესიონალ მიწის მთხრელ მუშათა მთელი ბრიგადა,

„ძია“ არსენ გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. თუ რა მას-შტაბის სამუშაოები ჩატარდა მცხეთაში, მათ შორის, ბატონ ა. აფაქიძის – არმაზციხე-ბაგინეთის რაზმის ხელმძღვანელის – მიერ, კარგად ჩანს ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემიდან. ექსპედიციის საველე დავთრების მიხედვით, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება, მარტო 1939 წელს გაითხარა 1055-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამარხი, აღწერილია 6600-ზე მეტი არტეფაქტი – არქეოლოგიური მასალა. ომის დროს, როდესაც მუზეუმის დირექტორად ბატონი ანდრო დაინიშნა. ამ ზღვა არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება, ჩახატვა-ფოტოგრაფირება, ფონდებში დავანება, კატალოგიზაცია ინტენსიურად მიმდინარეობდა. მომზადდა ექსპოზიცია. მაშინ ბატონი ანდრო აფაქიძე 29 წელს მიღწეული გამოცდილი არქეოლოგი გახლდათ. ეს თავდადება შრომა რომ არა, არ მოხერხდებოდა საყოველთაოდ ცნობილი გამოცემის ე.წ. „მცხეთა – I“-ის (თბ., 1955) მომზადება და შემდეგ დაბეჭდვა. ამ პუბლიკაციას – „არქეოლოგიური კვლევა-ძიების 1937-1946 წწ. გათხრების შედეგები“ – ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში ბადალი არ მოეპოვება. მისი მასწავლებლის, აკად. სიმონ ჯანაშიას, გარდაცვალების შემდეგ ამ საეცაპო წიგნის გამოცემის მთელი სიმძიმე ანდრია აფაქიძემ თანაავტორებთან, გ. გობეჯიშვილთან და ა. კალანდაძესთან, ერთად იტვირთა. წიგნმა, რომელიც ჯერ ქართულად და მერე (1958 წ.) რუსულად დაიბეჭდა მოსკოვის „გოსზნაკის“ სტამბაში, არქეოლოგების საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და დღესაც ქართველ არქეოლოგთა სამაგიდო წიგნია. როგორც გადმოცემით ვიცი, ის საკავშირო სტალინურ (სახელმწიფო) პრემიაზეც ყოფილა წარდგენილი, მაგრამ კრემლში შექმნილი ანტიქართული კონიუნქტურის გამო, ავტორებს ჯილდო არ მიუღიათ. ამ წიგნის პირველი თავი „მცხეთისა და მისი მიდამოების ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა მოკლე მიმოხილვას“ მიემდგვნა. მის გარეშე წარმოუდგენელია „საქართველოს არქეოლოგიის ისტორია“, ისევე როგორც მისი მომდევნო – მცხეთა II-XI – ტომების გარეშე. მათი ავტორი, თანაავტორი და სამეცნიერო რედაქტორი აკად. ა. აფაქიძე გახლდათ, რომელმაც, თავის მოწაფეებთან ერთად, 1974-2002 წწ. დიდი ამაგი დასდო მცხეთის, საქართველოს ძველი დედაქალაქის, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი სპეციალურ ნარკვევს იმსახურებს.

ბატონ ანდროს გული სწყდებოდა, რომ მაშინ, ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ამ სერიალის VIII ტომის დაბეჭდვა. პროფ. დუნდუას მიერ შესწავლილი, მცხეთაში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა (მონეტები) გამოუქვეყნებელი რჩება. ისევე როგორც ბატონ ანდროს მიერ სვეტიცხოვლის კათედრალის, საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან, უშუალოდ მის კედლის მიჯნაზე 2001 წლის ზაფხულში გათხრილი აკლდამა, ე.წ. „ქვაყუთი“ №14. თავად ბატონი ანდროს სიტყვებით, „მისი მნიშვნელობა დიდად სცილდება საქართველოს ფარგლებს“ (ა. აფაქიძე, გ. ყიფიანი. „დიდი აღმოჩენა მცხეთაში“, საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“. – 2002. – № 4, გვ. 37-39). აკლდამაში განისვენებდა 50 წლის დიდებული, სამეფო წრის ქალბატონი. თუ მისი მარცხენა ხელის შუა თითის ფალანგზე დაფიქსირებულ ოქროს ბეჭდის სარდიონის გემა ინტალითზე ამოკვეთილი ბერძნული მთავრული წარწერით ვიმსჯელებთ, ესაა „დედოფალი ულპია მბრძანებელი“. მისთვის უამრავი ძვირფასი, მაღალი მხატვრული და მატერიალური ღირებულების ნივთი ჩაუტანებიათ, ერთ-ერთ ყელსაბამ-გულსაკიდად რომში მოჭრილი ლუცილას (164-183 წწ.) ოქროს მონეტა გამოყენებული. დაუშვებელია, და უფრო მეტიც, დანაშაულია, მსოფლიო მნიშვნელობის ამ უნიკალური კომპლექსის გამოუქვეყნებლობა. აღნიშნული სერიალის – მცხეთის ბოლო XII ტომი, სადაც გამოქვეყნდება № 14 აკლდამა, ბატონ ანდრო აფაქიძის ხსოვნას, მისი დაბადებიდან 100 წლისთავს უნდა მიეძღვნას. სხვა არაფერი რომ არ აღმოეჩინა ბატონ ანდროს მცხეთაში, ესეც იკმარებდა მისი სახელის უკვდავსაყოფად! ის ტოლს უდებს ასევე უნიკალურ, ა. აფაქიძის მიერ 1985 წელს სამთავროს დედათა მონასტერთან აღმოჩენილ III ს-ის მდიდრულ აკლდამას. კომპლექსი 1996 წელს გამოქვეყნდა (მცხეთა, XI).

1975 წლიდან ბატონი ა. აფაქიძე ხელმძღვანელობდა მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც წარმატებით ასრულებდა მონიტორინგს მცხეთის ახალმშენებლობებზე. ჩვენი არქეოლოგიის პრაქტიკაში, პირველად მან, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, აკად. მ. აბდუშელიშვილთან ერთად, ჩამოაყალიბა პალეოანთროპოლოგთა სამუშაო ჯგუფი. მათ მიერ ჩატარებულმა კრანოლოგიურმა და ოსტეოლოგიურმა კვლევებმა ჩვენი არქეოლოგია ახალი წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ცნობებით გაამდიდრეს. ბატონმა ანდრომ, მრავალფეროვანი არქე-

ოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავა საერთო კავკასიური კულტურის და ცივილიზაციის არსებობის კონცეფცია, რომელიც დღესაც აქტუალურია.

აკად. ანდრია აფაქიძე მცხეთაში და მის შემოგარენში გამოვლენილ არქეოლოგიურ კომპლექსებს უდიდეს მეცნიერულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის აღნიშნავდა: „ჩვენი აზრით, მცხეთა და მისი შემოგარენი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური კომპლექსია, რომლის ბადალი დღემდე არ იცის საქართველოს არქეოლოგიამ“ (იხ. მისი ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. – თბ., 1972. – გვ. 94). დიდი ძალისხმევა დასჭირდა მას იმისათვის, რომ მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილიყო თანამედროვე ახალი სამეცნიერო-კვლევითი „მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი“. 1994 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია გადაკეთდა დამოუკიდებელ ინსტიტუტად, რომელიც მყისეულად რეაგირებდა განხორციელებული მშენებლობის პროცესში ახლადგამოვლენილი ძეგლების დაცვით სამუშაოებში. აკად. ა. აფაქიძის მიერ 1995-2002 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგები განხილული იყო მცხეთაში ჩატარებულ ექვს სამეცნიერო კონფერენციაზე.

1999 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადების 85 წლისთავისადმი, თავის მოხსენებაში ბატონი ანდრო აღნიშნავდა: ანტიკური საქართველოს „ძველი ქალაქების არქეოლოგიური კვლევა აღიარებულია XX საუკუნის დასასრულის ქართული არქეოლოგიის უპირატეს სამეცნიერო ამოცანად“ (იხ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. კრ. „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება“, I. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. – თბ., 1999. – გვ. 3-4).

ქართულ არქეოლოგიაში, ასევე, საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ბატონ ანდრია აფაქიძის მიერ 1963 წელს გამოცემულ ამავე სახელწოდების მონოგრაფიას, რომელშიც განხილული იყო ანტიკური პერიოდის „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური ძეგლები. XXI საუკუნეს ბატონი ანდრო სვეტიცხოვლის ეზოში ახალი სენსაციური არქეოლოგიური აღმოჩენით (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან გათხრილი აკლდამა, ე.წ. „ქვაყუთი“ №14) შეეგება. რაოდენ სიმბოლურია, რომ მისი საუკუნო განსასვენებელი მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის წმინდა მიწაშია.

ანდრია აფაქიძე სხვადასხვა წლებში იყო ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველს საისტორიო საზოგადოების, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის, საქართველოს არქეოლოგიური ფონდის გამგეობის, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღორძინების საბჭოს თავმჯდომარე.

რამდენიმე ორდენის კავალერმა, თბილისის საპატოო მოქალაქემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, არაერთი საერთაშორისო ფორუმის მონაწილემ, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

გურამ ლორთქიფანიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი*

ANDRIA APAKIDZE

(A Brief Review of his Scientific and Public Activities)

The famous Georgian scientist Andria Apakidze's career-path of scientific and public activities was verily illustrious. He belonged to the grand generation of Georgian scientists who had sustained the formation of often contradictory and sometimes painful process of a very important historical discipline - archeology. On his 80th anniversary the journal "Dzeglis Megobari" published an article where it was justly marked: "The Patriarch Georgian archeology - Academician A. Apakidze was a recognized leader of the second half of the XX century Georgian archeology and shared all of its successes" ("Dzeglis Megobari". – 1994, № 1, – p. 68-70). It should be noted that Mr. Andria was one of the founders of the first public organization: "Society for the Protection of Monuments of History and Culture", and a very popular academic journal "Dzeglis Megobari". Further we will have to mention about his superiority and leadership repeatedly. He was the first archeologist among those who presented (in 1940) and defended (in 1941) his PhD thesis (leadership. Prof. G. Nioradze) and obtained "the scientific degree of candidate of sciences". He was the first who earned his doctorate in the history of sciences (in 1961) and paved the way for "the underwater archeology" in Sukhumi bay and Bichvinta (1953.), introduced the new geophysical exploration methods in archaeological fieldworks in the 60s. He guided the introduction of modern computer systems in archeology. Mr. Andria Apakidze was the first academician archeologist of the National Academy and the first academician-secretary of the Department of Social Sciences of the Academy. He founded the Computer Science and Information Center at the Presidium of National Academy of Sciences, where information was collected on the Georgian archaeological monuments. The above mentioned activities are not his only contributions Georgian studies, particularly in the development of archeology.

The path to reach the top of his profession started with studying at Tbilisi State University, Faculty of History, since he had been chosen first by professor G. Nioradze and then by professor S. Janashia, as a young student keen on archeology. He had mentioned several times about the above mentioned fact and he was grateful to his great teachers till the end of his life.

In one of his autobiographical manuscript, which was dated 1947 (kept in the archives of the National Academy of Sciences), Mr. Andria said: "I had to learn and work at the same time". His father, Meliton Apakidze died early in 1918. His intention of receiving education was fulfilled by his family follo-

wing the old noble traditions that had been returned from Baku to the village of Zana (region of Senaki). He took primary education in the seven-year school of Zana, and from 1925 continued his studying in Senaki (former Tskhakai-a). In 1932 he graduated from the Pedagogical Institute of Tskhakai-a. The same year he became a student of Tbilisi state university, faculty of History. In 1936 he graduated from the university, in February, 1937 he was offered to stay at the university as a post-graduate student “to prepare for the professorship”.

Meanwhile, from November 1935 to October 1936, he worked at the Institute of Archaeology for Georgian Studies. After reorganization of the institute he worked as a Research Professor at N. Marr Institute of Language, History and Material Culture headed by professor S. Janashia. According to Andria Apakidze, from September, 1937 he delivered lectures in archaeology at Tbilisi State University, department of History. During 1940-1941 academic year, he was a tutor of the course on “Archaeology of Near Asia”, Upon the declaration of war he joined the army. After completing the oldest Tbilisi Military Artillery school that was the oldest in the Caucasus), he fought in the North Caucasus. On August 3, 1942, he was wounded and released from military service. After demobilization, in October, 1942 he worked as a senior researcher and a head of the department of archaeology at Academic Institute of History.

On July 19, 1943 Andria Apakidze was appointed as a director of the Georgian State Museum, which had traditionally been an important source of archaeological research. He had worked to this responsibility job for ten years. This period was remarkable for its significant changes, successful archaeological research and publications. From 1953 to 1980 A. Apakidze was the head of the Department of Archaeology at I. Javakhishvili Institute of History. He conducts practically all archaeological works throughout Georgia, including Abkhazia and South Ossetia.

He spent much time and paid complete attention to the education of young archaeologists. His students were George Shamba, Abkhazian archaeologist, who had never betrayed the Georgian-Abkhazian brotherhood and professor A. Kakhidze, former rector of Batumi Shota Rustaveli State University, now the director of Batumi State Archaeological Museum in Georgia. Andria Apakidze’s one of the recent post-graduates, PhD, an archaeologist - Alexander Noneshvili often recalls Mr. Andria how delicately and attentively observed his scientific and archaeological works. Those, who were close to him, will confirm that he was a man of principle, demanding and sometimes strict, but fair to his subordinates.

The indicators of his benevolence towards young archaeologists are a few episodes of relationships between me and Mr. Andria Apakidze. After my written appeal he invited me to work as an archeologist in Bichvinta expedition. This expedition led by Mr. Andria Apakidze in 1953-1974., has played a huge role in the development of ancient (classical) archeology. His findings of ancient Greek, Roman castles, fortresses and towns - Pitiunt-Pityus Georgian-Abkhazian "Bichvinta", an early center of Christianity with the cathedral of X-XI centuries - are in the spotlight of world archaeology. David the Builder was among the pilgrims visiting those places. Mr. Andria Apakidze was an author, co-author and editor of works that were published in three volumes dedicated to "Great Pitiunt". Rare "Archaeological Dictionary" in Georgian historiography was recorded on the spot. The compiler and editor was Andria Apakidze.

A. Apakidze was co-author and scientific editor of the first textbook in archaeology published by Tbilisi State University.

A State Prize was awarded to Mr. Andria Apakidze in 1976 for his research in Bichvinta ruins. According to the decision of Andria Apakidze, I was assigned to lead the archeological expedition of the Georgian Academy of Sciences for the renewal of suspended works in Bichvinta. He was the consultant of the expedition. I felt very honored and together with other members of the expedition I'd like to point out that we had not let him down. In 1975-1980, joint expeditions of Tbilisi and Iena Universities had been working in Bichvinta ruins before the fatal battles in Abkhazia.

He published his first scientific work in archeology in 1941. It was his PhD. dissertation "Archaeological Monuments of Bakurtsikhe" - summary (theses - four pages). The typed dissertation itself, with "the right of manuscript", was kept at I. Javakhishvili Institute of History, Archeology and Ethnography. It was given to the Georgian National Library ten years ago. Its research was based on the multi-layer archaeological complexes of Late Bronze Age - discovered near the village of Bakurtsikhe. In 1938 he led the archeological expedition in Bakurtsikhe. According to Andria Apakidze statement, his first expedition was in Motsameta, in 1936. The above mentioned work was a landmark in the history of Georgian archeology, as it was the first Ph.D. thesis. It still has a remarkable significance. Its publication with relevant comments would be of benefit to the community.

Andria Apakidze's contribution to the archaeological study of Mtskheta, the ancient capital of Georgia is especially significant.

Before the beginning of the Great Patriotic War, in 1940-1941, Academician Simon Janashia entitled the young archaeologist - Andria Apakidze to

the leadership of Armazistsikhe-Bagineti excavations - the most important areas in Mtskheta. Since 1943, he still continues his archaeological research in Mtskheta. It can be said that he has devoted his whole life to the above mentioned research.

Andria Apakidze noted in his autobiography: "Since 1943 till present (1952) I've been a head of archaeological excavations in Bagineti". This short period of time (1936-1947) of Janashia's scientific activity is related to the "golden age" of Georgian archeology.

A large-scale archaeological excavation started in Mtskheta, in 1938. A group of young archaeologists worked alongside Andria Apakidze (G. Gobejishvili, A. Kalandadze, G. Lomtadze etc.), who were aware of excavation methods and theoretical skills. They belonged to the first generation of professional archaeologists raised by I. Javakhishvili, G. Nioradzisa and S. Janashia. Otherwise it would be impossible the time required by such a large-scale excavation. Otherwise, it would be impossible to perform such a large-scale excavation works in a relatively short period of time.

Andria Apakidze was recognized as the leader of archaeologists with regards to the complex multi-layer archaeological monument, such as "Great Mtskheta". According to Andria Apakidze, in 1939, archaeological expedition, which included 20 researchers and four technical workers (architect, painter, photographer), worked in an extremely difficult conditions for seven months. The number of workers was about 80 people. For several years Andria Apakidze had formed a group of archaeologists and created a group of workers skilled in excavation works, led by Arsen Garsevanishvili.

Some of the statistical data shows a large scale of work done in Mtskheta, including - Armaztsikhe-Bagineti excavations led by A. Apakidze. According to the records kept in the Georgian National Museum, more than 1055 different types of remains were excavated in 1939; more than 6600 artefacts - archeological findings are described. During the war, when Andria Apakidze was appointed as a director of the museum, intensive processing work was being done - archeological material was photographed, catalogued, indexed and stored. The exposition was organized. Andria Apakidze was 29 years old then. If they had not worked hard, the well-known issue - "Mtskheta - I" (Tb., 1955) - would not have been prepared and published. The publication - "Archaeological Research in 1937-1946" has no equal in the archaeological historiography of Georgia.

After the death of his teacher Acad. Simon Janashia, together with other authors: G. Gobejishvili and A. Kalandadze, Andria Apakidze took responsibility for publishing the book. The book, which was published first in Georgi-

an and then (1958) in Russian, in Moscow “Gosznaki” printing house, attracted the attention of archaeologists and became the desk book of the Georgian archaeologists. As I was told, it had been submitted to the Stalin (State) Prize but due to the Anti-Georgian situation in the Kremlin, the authors did not receive the award. The first chapter of this book was dedicated to “a brief overview of historical and archaeological monuments of Mtskheta and its surroundings”, without which the “History of Archaeology” can not be imagined as well as without its subsequent volumes Mtskheta - II-XI. The author, co-author and scientific editor of the book was Acad. A. Apakidze who made substantial contribution to the archaeological research (1974-2002) of Mtskheta, the ancient capital of Georgia.

Andria Apakidze was disappointed that they could not publish the VIII volume of the book due to technical problems. Numismatic material - (coins) studied by professor Dundua as well as the artefacts - so-called “Qvakuti” №14 - a tomb excavated at the edge of the eastern facade of Svetitskaveli Cathedral in the summer of 2001 - remained unpublished. According to Andria Apakidze, “Its significance extends far beyond the borders of Georgia” (A. Apakidze, G. Kipiani, “The great discovery in Mtskheta”, A. Apakidze, c “The great discovery of Mtskheta”, the scientific information magazine “Mudmivi Kavshiris Samkaro”. – 2002, №4. – p. 37-39). The tomb belonged to the 50-year-old majestic, royal woman. Judging by the ancient Greek inscription curved on the golden ring on her middle finger, she was the Queen – “Queen ulpia”. A lot of valuable, highly artistic items of material value were buried with her, including the golden coin (made by Lucilla 164-183 AD.) used as a necklace. All the above mentioned unique material could not have been unpublished.

The last volume XII that will contain information regarding the tomb №14, will be dedicated to the memory and centenary of Andria Apakidze's birth. Even his discovery would be quite enough to immortalize his name. His another discovery - the palatial tomb (III century) at Samtavro Church was equally unique and significant. Facts and information about the complex was published in 1996 (Mtskheta, XI).

Since 1975 Andria Apakidze had led the archaeological expedition that was successfully monitoring interminable works in Mtskheta. Together with Acad. M. Abdushelishvili, he was the first to form a group of paleoanthropologists based on the archaeological expedition. Craniological and Osteological studies conducted by them have enriched our archeology with a new source of information. Based on the analysis of various archaeological materials, Andria Apakidze developed the concept for the existence of the overall Caucasian culture and civilization, which is still relevant today.

Acad. Andria Apakidze attached the greatest scientific significance to the archaeological complex in Mtskheta and its surroundings. He said: "In our opinion, Mtskheta with its surroundings is the most important archaeological complex that has no equal in the Georgian archeology". (See: Half a century development of the Georgian Soviet Archaeology, Tb., 1972. – p. 94). He made every effort to establish the scientific and research "archaeological institute of Mtskheta" at the Academy of Sciences. Constant Archaeological Expedition in Mtskheta in 1994 was transformed into an independent institution, which instantly reacted in the process of construction works to defend the newly revealed discoveries. The results of archaeological research conducted by Acad. A. Apakidze in 1995-2002 were discussed in six scientific conferences held in Mtskheta.

In 1999, the Academy of Sciences organized a conference dedicated to Academician Andria Apakidze's 85th anniversary. In his report, Apakidze said: "Archaeological research of ancient cities has been recognized as the prevailing scientific task of the XXth century Georgian archaeology" (See A. Apakidze, cities and urban life in ancient Georgia. Coll. "Cities and Urban Life", I. Abstracts of the conference. - Tb., 1999. - p. 3, 4).

Monograph of the same name, published by A. Apakidze in 1963, was a landmark in the Georgian archaeology. It described archaeological sites and monuments of ancient time "Great Mtskheta". Andria Apakidze entered into the XXI century with a new major breakthrough in the archaeological research. How symbolic is that his eternal rest is in the Holy Yard of Mtskheta Samtavro Church.

In various years Andria Apakidze was the chairman of Eqvtime Takaishvili Georgian Historical Society, Georgian Archeological Committee, the Board of Georgian Archeological Fond, the Council for the revival of Jewish Historical and Ethnographic Museum in Georgia.

The owner of various rewards, an honorary citizen of Tbilisi, an honorable scientist, a professor at Tbilisi State University, participant of various international forums and conferences - Andria Apakidze faithfully served his country.

Guram Lortkipanidze

*Doctor of Historical Sciences, Professor,
Corresponding Member of the National Academy of Sciences*

Translator
Inga Narindoshvili

ანდრია ავაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1914 წლის 3 სექტემბერს (21 აგვისტო) დაიბადა სენაკის რაიონის სოფ. ზანაში.
- 1921–1925 წწ. სწავლობდა სოფ. ზანის შვიდწლიან სკოლაში.
- 1925–1928 წწ. სწავლობდა სენაკის საშუალო სკოლაში.
- 1928–1932 წწ. სწავლობდა სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში.
- 1932–1936 წწ. სწავლობდა სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტში, ისტორიის ფაკულტეტზე.
- 1933–1935 წწ. მუშაობდა ლიტმუშაკად გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“.
- 1935 წ. მუშაობდა გან-ბის გამგედ გაზ. „ბრძოლა ჩაისათვის“.
- 1935–1936 წწ. მუშაობდა არქეოლოგიის (კავკასიისმცოდნეობის) ინ-ტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.
- 1936–1937 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-ტში.
- 1937–1940 წწ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის არქეოლოგიის კათედრის ასპირანტია (დატოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“), კითხულობს ლექციებს.
- 1941 წ. დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად.
- საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-ტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.
- 1941–1942 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.
- 1942–1943 წწ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია და ასრულებს არქეოლოგიის განყოფილების გამგის მოვალეობას.
- 1943–1953 წწ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. სა-ხელმწიფო მუზეუმის დირექტორია.
- 1945 წ. დაჯილდოვდა მედლით „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941–1945 წწ.“
- დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.
 - დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის 1941–1945 წწ.“

- 1946 წ. დაჯილდოვდა „საკპატიო ნიშნის ორდენით“ მეცნიერებისა და კულტურის დარგის განვითარებაში დამსახურებისათვის.
- 1949 წ. მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.
- 1953–1972 წწ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში არქეოლოგიური სექტორის ხელმძღვანელია.
- 1953–1974 წწ. ხელმძღვანელობდა ბიჭვინთის არქეოლოგიურ გათხრებს.
- 1958 წ. მონაწილეობდა რომის კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესში.
- 1959 წ. დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.
- 1961 წ. მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება.
- 1963 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება.
- მონაწილეობდა საფრანგეთის კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესში.
- 1964 წ. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საკპატიო წოდება.
- მიენიჭა აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“.
- 1967 წ. აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტად.
- 1968 წ. მონაწილეობდა დამასკოს კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესში.
- 1972–1976 წწ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგეა.
- 1975 წ. ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს მცხეთასა და მის შემოგარენში.
- 1976 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მონოგრაფიისათვის „დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში“.
- 1977–1994 წწ. საქართველოს მეცნ. აკად. არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგეა.

- 1980–1988 წწ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. გან-ბის აკადემიკოს მდივანია.
- 1982 წ. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.
- 1983 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.
- 1984 წ. დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
- 1986 წ. დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.
- 1988–2002 წწ. საქართველოს მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია.
- ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარეა.
- 1990–1991 წწ. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრია.
- 1992 წ. დაჯილდოვდა ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით.
- 1994–2005 წწ. მცხეთის გ. ნიორაძის სახ. არქეოლოგიური ინ-ტის ხელმძღვანელია.
- 1994 წ. დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“ ქართული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.
- 1998 წ. აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.
- 1999 წ. დაჯილდოვდა ABI-ის (ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი) ოქროს მედლით.
- 2002–2005 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველია.
- 2005 წ. 25 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქ. მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.
- 2009 წ. ყოფილ საგარეჯოს ქუჩას ანდრია ავაქიძის სახელი ეწოდა.

The Main Dates of Andria Apakidze's Life and Activity

- 1914 Was born on September 3 (August 21) in Zana, Senaki region.
- 1921–1925 Studied at Seven-Year School in Zana.
- 1925–1928 Studied at Senaki Secondary school.
- 1928–1932 Studied at Senaki Pedagogical College.
- 1932–1936 Studied at Tbilisi Stalin State University, Department of History.
- 1933–1935 Worked as a literary worker in the newspaper „Akhlagzrda Komunisti“.
- 1935 Worked as a head of the department of the newspaper „Brdzola Chai-satvis“.
- 1935–1936 Worked as a junior research fellow at the Institute of Archaeology (Caucasian Studies).
- 1936–1937 Worked at Nikolai Marr Institute of Language, History and Material Culture of the Georgian Academy of Sciences.
- 1937–1940 Post-graduate student of Tbilisi Stalin State University, Department of Archaeology (where he stayed to prepare for working as a professor), delivered lectures.
- 1941 Defended the dissertation for the degree of the candidate of Historical Sciences.
- Worked as a senior research fellow at Nikolai Marr Institute of Language, History and Material Culture of the Georgian Academy of Sciences.
- 1941–1942 Served in the army.
- 1942–1943 Senior research fellow of the Institute of History of the Georgian Academy of Sciences and the head of the Department of Archaeology.
- 1943–1953 Director of S. Janashia State Museum of the Georgian Academy of Sciences.
- 1945 Was awarded the medal for „Gaining the Victory over Germany in 1941-1945“.
- Was awarded the medal for „Protecting the Caucasus“.
 - Was awarded the medal for „Courageous Work in 1941-1945“.
- 1946 Was awarded „An Honorary Order“ for his contribution to the development of Science and Culture.
- 1949 Was awarded a rank of the candidate of Historical Sciences.

- 1953–1972 The head of the archaeology section of I. Javakhishvili State Institute of History, Archaeology and Ethnography of the Georgian Academy of Sciences.
- 1953–1974 Led archaeological excavations in Bichvinta.
- 1958 Participated in the International Classical Archaeology Congress in Rome.
- 1959 Defended the dissertation for the doctor's degree of Historical Sciences.
- 1961 Was awarded the title of „Doctor of Historical Sciences“.
- 1963 Was awarded the title of „Professor“.
- Participated in the congress of the International Association of Classical Archaeology in France.
- 1964 Was awarded a rank of Honoured Scientist.
- Was awarded Academician S. Janashia Prize for the monography - „Cities and Urban Life in Ancient Georgia“.
- 1967 Was elected as an associate member of the Georgian Academy of Sciences.
- 1968 Participated in the International Classical Archaeology Congress in Damasco.
- 1972–1976 The head of the department for ancient archaeology at I. Javakhishvili State Institute of History, Archaeology and Ethnography of the Georgian Academy of Sciences.
- 1975 Led archaeological excavations in Mtskheta and its adjacent territories.
- 1976 Was awarded the State Prize of Georgia for the monography – „The Great Pitunt. Archaeological Excavations in Pitsunda“.
- 1977–1994 The head of the department of the ancient archaeology of the Archaeological Research Center of the Georgian Academy of Sciences.
- 1980–1988 Academician-secretary of the department of Social Sciences of the Georgian Academy of Sciences.
- 1982 Was awarded the State Prize of Georgia.
- 1983 Was elected as an academician of the Georgian Academy of Sciences.
- 1984 Was awarded an honorary diploma of the Presidium of the Supreme Council of GSSR.
- 1986 Was awarded the „Red Banner of Labor“ .
- 1988–2002 Vice-President of the Georgian Academy of Sciences.
- Chairman of Eqvtime Takaishvili Historical Society of Georgia.
- 1990–1991 A member of the Supreme Council of Georgia.
- 1992 Was awarded Jubilee Medal by Iv. Javakhishvili.

- 1994–2005 The head of G. Nioradze Archaeological Institute of the Georgian Academy of Sciences in Mtskheta.
- 1994 Was awarded a „Medal of Honour“ for his contribution to the development of Georgian Science.
- 1998 Was elected as an Honorary Citizen of Tbilisi.
- 1999 Was awarded the ABI (American Biographical Institute) Golden Medal.
- 2002–2005 Counsellor of the Presidium of the Georgian Academy of Sciences.
- 2005 November 25, died. He was buried in the yard of Samtavro Monastery in Mtskheta.
- 2009 Former Sagarejo street was named after Andria Apakidze.

ანდრია აფაქიძის შრომები

Andria Apakidze's Works

1941

1. ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები: ისტ. მეცნ. კანდ. სა-
მეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტა-
ციო შრომის თეზისები. – თბ., 1941. – 4 გვ.

1944

2. ანტიმონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში // საქ.
სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1944. – ტ. 13-B. – გვ. 227-232. –
რეზ. რუს.
3. ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან // საქ. სა-
ხელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1944. – ტ. 12-B. – გვ. 441-448. – რეზ.
რუს.

1945

4. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქა-
ლაქში (მცხეთა) // ბოლშევიკი. – 1945. – №6. – გვ. 69-88.

1947

5. გვიანატყური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურევიდან //
საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1947. – ტ. 14-B. – გვ. 89-125.:
17 სურ-ით. – რეზ. რუს.

1948

6. შენიშენები Scythica et Caucasia-ს ახალი გამოცემის გამო // საქ.
სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1948. – ტ. 15-B. – გვ. 181-192. –
რეზ. რუს.

1949

7. სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია: მოხსენება აკად. სიმონ ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წლიურ სამეცნ. სესიის საგანგებო სხდომაზე. 1947 წ. 25 ნოემბერი // აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. 1900-1947 / რედ. შ. ძიძიგური. საქ. სსრ მეცნ. აკად. – თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1949. – გვ. 104-131.

1952

